# შპს კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ბიზნესის სკოლა

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) |

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე | Business Administration<br>(Specializations: Finance, Marketing, Management, Accounting) |

| | |
|---|---|
| უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | აკადემიური |

| | |
|---|---|
| სწავლების ენა | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი | 02 |
| ქართულად: | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| ინგლისურად: | Bachelor of Business Administration |
| პროგრამის დამტკიცების თარიღი | 21.07.2014<br>N154 |
| პროგრამის განახლების თარიღი | 18.01.2019 |
| პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი | ხელმძღვანელი:<br>- ბორის ლეჟავა, პროფესორი<br><br>თანახელმძღვანელები:<br>- გიორგი ნატროშვილი, პროფესორი<br>- ნინო ანდრიაძე, ასოცირებული პროფესორი |

| | |
|---|---|
| | - თეიმურაზ ფარცხალაძე, ასისტენტ პროფესორი |

| პროგრამის მოცულობა კრედიტებით | |
|---|---|

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პირველი კურსი 60 ECTS კრედიტი, მეორე კურსი 62 ECTS კრედიტი, მესამე კურსი 58 ECTS კრედიტი, მეოთხე კურსი 60 ECTS კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილ დრო).

პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია საუნივერსიტეტო სავალდებულო 77 ECTS კრედიტი, საუნივერსიტეტო არჩევითი 15 ECTS კრედიტი, თავისუფალი კომპონენტის 15 ECTS კრედიტი და ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო 133 ECTS კრედიტის სასწავლო კურსებად.

თავის მხრივ ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები იყოფა:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო 78 ECTS კრედიტი და არჩევითი სპეციალობის-მოდულის (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) 55 ECTS კრედიტი სავალდებულო საგნებად.

პროგრამაში უცხოენოვანი საგნების ნაწილი წარმოდგენილია ინგლისური ენისა და მეორე უცხო ენის (ფრანგული, გერმანული, თურქული, ესპანური) სახით, რომელთაგან მხოლოდ ერთის აღება უწევს სტუდენტს.

ინგლისური ენა პროგრამაში იყოფა ზოგად და პროფესიულ მიმართულებებად. ორივე მიმართულების ხვედრითი წილი საერთო 240 კრედიტიდან ჯამში შეადგენს 20 ECTS კრედიტს.

მეორე უცხო ენის (ფრანგული, გერმანული, თურქული ან ესპანური) პროგრამულად 30 ECTS კრედიტს შეადგენს მეორე უცხო ენის წილი პროგრამაში.

| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | |
|---|---|

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. უცხო ენად ბარდება მხოლოდ ინგლისური ენა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.<br><br>პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ დანახული ბაზარზე არსებული საჭიროებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ბიზნესის სკოლების გამოცდილებას და იზიარებს ბიზნესის ადმინისტრირებაში დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს.<br><br>კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია, სტუდენტს:<br><br>Obj. 1 - მისცეს ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ასევე ერთ-ერთ ფუნქციურ მიმართულებებში, როგორიცაა ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი;<br><br>Obj. 2 - განუვითაროს სხვადასხვა დონის მენეჯერული რგოლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში შესაბამისი (ფინანსისტის, მარკეტერის, ბუღალტერ-აუდიტორის და ა.შ.) ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის;<br><br>Obj. 3 - მისცეს თეორიული ცოდნა და განუვითაროს უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იქნება ენტრეპრენერული საქმიანობისათვის;<br><br>Obj. 4 - შესთავაზოს ისეთი პროგრამა, რომელიც თანხვედრაში არის საერთაშორისო უნივერსიტეტების ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც მას მომავალში საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა საქართველოსა, თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში.<br><br>Obj. 5 - ჩამოუყალიბოს ისეთი მსოფლმხედველობა და ფასეულობები, რომლებიც გახდიან მას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ზნეობრივად სრულყოფილ, ზოგადსაკაცობრიო იდეალების ერთგულ, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების და ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე პირად. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის სწავლის შედეგები** | ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:<br><br>P.L.O.1. - განსაზღვროს, აღწეროს და იმსჯელოს ბიზნეს ადმინისტირების და მის მიერ არჩეული სპეციალობის (ფინანსები ან საბუღალტრო აღრიცხვა ან მარკეტინგი ან მენეჯმენტი) ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები;<br><br>P.L.O.2. მის წინაშე არსებული ამოცანიდან გამომდინარე<br>- შეარჩიოს ბიზნეს მოდელები, რომლითაც შეაფასებს ბიზნესგარემოს, იდეას და/ან პროექტს,<br>- დასახოს მისაღწევი მიზნები<br>- და დაგეგმოს საჭირო ქმედებები-მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;<br><br>P.L.O.3. პრაქტიკაში გამოიყენოს შესაბამისის მენეჯერული პოზიციისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები;<br><br>P.L.O.4. გაანალიზოს არსებული სიტუაცია შესაბამისი მოდელებისა თუ ანალიტიკური საშუალებების მეშვეობით, იდენტიფიცირება მოახდინოს საკვანძო საკითხების და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები;<br><br>P.L.O.5. ეფექტური წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო გარემოში.<br><br>P.L.O.6. კომუნიკაცია უცხო ენაზე, როგორც ბიზნეს, ასევე ზოგადი თემების ირგვლივ.<br><br>P.L.O.7. განსაზღვროს და გაითვითცნობიეროს, თუ რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, ჰუმანური ფასეულობები, სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკური ქცევა. |
| **დასაქმების სფეროები** | - ნებისმიერი პროფილის და ინდუსტრიის კომპანიებში მარკეტინგის/საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის/ და სხვა მარკეტინგის მიმართულების დეპარტამენტებში საწყისი და საშუალო მენეჯერული დონის პოზიციები<br>- სარეკლამო სააგენტოში სხვადასხვა საწყისი და საშუალო მენეჯერული დონის პოზიციები<br>- მარკეტინგული კვლევის ორგანიზაციაში სხვადასხვა საწყისი და საშუალო დონის პოზიციები<br>- საკონსულტაციო სექტორი<br>- ნებისმიერი კომპანიის საბუღალტრო განყოფილება<br>- აუდიტორულ კომპანიები<br>- საჯარო დაწესებულებებში - ბუღალტერია, შიდა აუდიტი<br>- მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები;<br>- საბანკო სექტორი; |

| | |
|---|---|
| | - არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები;<br>- სამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაციები;<br>- არასამთავრობო ორგანიზაციები. |
| **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა** | კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში. |
| | |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | |

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი

წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა ყველა საგანში (გარდა პირველი კურსის საგნებისა და B2 დონის ინგლისური ენისა) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

პირველი კურსის საგნებში და B2 დონის ინგლისური ენაში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატების მეთოდი
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი
- გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდი
- სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

| პროგრამის სხვა რესურსები | |
|---|---|

კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლა არის მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს მიმდინარე და დაგეგმილი აკადემიური პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, პროგრამებში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლას და პროფესიულ განვითრებას.

**საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი:**

- AACSB ასოციაციის (Association to Advance Collegiate Schools of Business) წევრი
- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN) წევრი;
- საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების კავშირის (NIBES) წევრი;
- უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორიშო ასოციაცია (IAUP)
- გაერთიანებული ერების აკადემიური გავლენა (UNAI)

**პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:**

- რენის ბიზნესის სკოლა (Rennes School of Business), საფრანგეთი, კავკასიის უნივერსიტეტის ევროპის კამპუსი
- ეკლიას ბიზნესის სკოლა (Eklya School of Business), საფრანგეთი
- ბუდაპეშტის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი (Budapest Metropolitan University), უნგრეთი
- აჯმანის უნივერსიტეტი (Ajman University), არაბეთის გაერთიანებული საამიროები
- გამოყენებითი მეცნიერების ჰანზეს უნივერსიტეტი (Hanze University of Applied Science), ნიდერლანდები
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (Tallinn University of Technology), ესტონეთი
- აჯოუს უნივერსიტეტი (Ajou University), კორეა
- ჰიროსიმას ეკონომიკის უნივერსიტეტი (Hiroshima University of Economics), იაპონია
- დონეცკის მენეჯმენტის სახელმწიფო უნივერსიტეტი (Donetsk State University of Management), უკრაინა
- რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი (Riga Technical University), ლატვია
- კლერმონის ვაჭრობის სკოლა (Ecole Superieure de Commerce de Clermont), საფრანგეთი
- რიგის ეკონომიკისა და ბიზნესის საერთაშორისო სკოლა (Riga International School of Economics and Business (RISEBA), ლატვია
- ზემო ავსტრიის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლა (Applied Sciences, School of Management, University of Upper Austria), ავსტრია
- ფერლა დიკინსონის უნივერსიტეტი (Fairleigh Dickinson University), აშშ
- ლეიპციგის მენეჯმენტის სკოლა (HHL Leipzig Graduate School of Management), გერმანია
- CETYS უნივერსიტეტი (CETYS University), მექსიკა
- IDRAC ბიზნესის საერთაშორისო სკოლა (IDRAC international school of business), საფრანაგეთი
- ესანის უნივერსიტეტი (Esan University), პერუ
- სავანას სახელმწიფო უნივერსიეტეტი (Savannah State University), აშშ
- უკრაინის საბანკო უნივერსიტეტი (Banking University of Ukraine), უკრაინა
- LBK კოლეჯი (College LBK), ლატვია
- EM Normandie, საფრანგეთი
- კოსტა-რიკის უნივერსიტეტი (Empresarial De Costa Rica), კოსტა-რიკა
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (Gadjah Mada, Faculty of Economics and Business), ინდონეზია

- ყირგიზეთის ეკონომიკის უნივერსიტეტი (Kyrgyz Economic University), ყირგიზეთი
- ჩრდილო ამერიკის უნივერსიტეტი (North American University), აშშ
- პარიზის ESLSCA-ს ბიზნესის სკოლა (Paris ESLSCA Business School), საფრანგეთი
- ლოძის უნივერსიტეტი (University of Lodz), პოლონეთი
- დასავლეთის უნივერსიტეტი (University West), შვედეთი
- სტამბულის ბილგის უნივერსიტეტი (Istanbul Bilgi University), თურქეთი
- გრენობლის მენეჯმენტის სკოლა (Grenoble Ecole de Management), საფრანგეთი
- ფორცჰაიმის უნივერსიტეტი (Pforzheim University), გერმანია
- ბრაზილიის საერთაშორისო ბიზნესის სკოლა (International Business School Brasil), ბრაზილია
- მენეჯმენტის და ეკონომიკის უნივერსიტეტი (ISM University of Management and Economics), ლიეტუვა
- ცენტრალური აზიის ამერიკული უნივერსიტეტი (American University of Central Asia), ყირგიზეთი
- იონსეის უნივერსიტეტი (Yonsei University), სამხრეთ კორეა
- ლისაბონის იშქტეს უნივერსიტეტი (Instituto Superior de Ciencias do Trabalho e da Empresa (ISCTE), პორტუგალია
- ესტონეთის ბიზნესის სკოლა (Estonian Business School), ესტონეთი
- IESEG მენეჯმენტის სკოლა (IESEG School of Management), საფრანგეთი
- ტაივანის მინგ ჩუანის უნივერსიტეტი (Ming Chuan University of Taiwan), ტაივანი
- იზმირის ეკონომიკის უნივერსიტეტი (Izmir University of Economics), თურქეთი
- კაუნასის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (Kaunas University of Technology), ლიეტუვა
- ადას უნივერსიეტეტი (ADA University), აზერბაიჯანი
- ტარტუს უნივერსიტეტი (Univeristy of Tartu), ესტონეთი
- SMK გამოყენებითი სოციალური მეცნიერებების უნივერსიტეტი (SMK University of Applied Social Sciences), ლიეტუვა
- LCC საერთაშორისო უნივერისტეტი (LCC International University), ლიეტუვა
- ვარშავას ეკონომიკის სკოლა (Warsaw School of Economics), პოლონეთი
- ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი (Varna University of Management), ბულგარეთი
- ბაბეშ-ბოლის უნივერსიტეტი (Babes-Bolyai University), რუმინეთი
- კატოვიცეს ეკონომიკის უნივერსიტეტი (University of Economics in Katowice), პოლონეთი
- შეჩინის უნივერსიტეტი (University of Szczecin) , პოლონეთი
- კოზმინსკის უნივერსიტეტი (Kozminski University), პოლონეთი
- კაუნასის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი (Kauno Kolegija/ Kaunas University of Applied Sciences), ლიეტუვა
- შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (Middle East Technical University (METU)), თურქეთი
- გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი (FH JOANNEUM University of Applied Sciences), ავსტრია
- ლუბლიანას უნივერსიტეტი (University of Ljubljana), სლოვენია
- კოლეგიუმ სივიტასი (Collegium Civitas), პოლონეთი
- რიგის უმაღლესი სამართლის სკოლა (Riga Graduate School of Law), ლატვია
- ზაარლანდის უნივერსიტეტი (Saarland University), გერმანია
- კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტი (Cracow University of Economics), პოლონეთი
- ტუშას უნივერსიტეტი (University of Tuscia), იტალია
- რედბაუდის უნივერსიტეტი (Radboud University), ნიდერლანდები
- კოშიცეს ტექნიკური უნივერსიტეტი (Technical University of Košice), სლოვაკეთი
- ვრკოკლავის ლოგისტიკისა და ტრანსპორტირების საერთაშორისო უნივერსიტეტი (The International University of Logistics and Transport in Wroclaw), პოლონეთი
- ვილნიუსის ბიზნესის სკოლა (Vilnius Business School), ლიეტუვა
- დუბლინის უნივერსიტეტი (Dublin City University), ირლანდია
- ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (Lille Catholic Univeristy), საფრანგეთი
- ვალადოლიდის უნივერსიტეტი (Universidad de Valladolid), ესპანეთი
- კოჩის უნივერსიტეტი (Koc University), თურქეთი
- კვიძინის პოვისლანური კოლეჯი (Powislanski College in Kwidzyn), პოლონეთი

- **ბიზნეს-ორგანიზაციები:**
- ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი
- დელოიტი
- ივაი ჯორჯია (EY)

- პრაისვოთერჰაუსკუპერსი
- ქეიფიემჯი ჯორჯია
- ბიდიო
- ფილიპ მორის საქართველო
- ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედი
- ჯეითიაი კავკასია (ჯაპან ტობაკო ინთერნეიშენალ)
- შულც გლობალ ინვესტმენტ ლიმიტედი
- ჰაიდელბერგ ცემენტი
- ჰოლიდეი ინ თბილისი
- ჯეოსელი
- სილქნეტი
- მაგთიკომი
- საქართველოს ეროვნული ბანკი
- თიბისი ბანკი
- საქართველოს ბანკი
- პროკრედიტ ბანკი
- ბაზის ბანკი
- ლიბერთი ბანკი
- ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
- ტოიოტა ცენტრი თეგეტა
- ისთ ფოინთი
- კარფური საქართველო
- იმედი ელ
- ალდაგი
- ჯი პი აი ჰოლდინგი
- რისკების მართვისა და სადაზღვეო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია
- სამედიცინო კორპორაცია ევექსი
- პსპ დაზღვევა
- ვისოლ ჯგუფი
- სოკარ ჯორჯია
- იუ–ჯი–თი
- ნეთ კრედიტი
- კრედო
- ინსორსი
-
- სამთავრობო და სხვა დაწესებულებები:
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- საჯარო სამსახურის ბიურო
- სახელმწიფო აუდიტი
- იუსტიციის სახლი
- საქართველოს რკინიგზა
- საქართველოს ფოსტა
- თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
- ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში (AmCham)
- საფრანგეთის ბიზნეს საბჭო საქართველოში

| **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა** | |
|---|---|
| **საბიბლიოთეკო რესურსები:** | |

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო დანიშნულების და დახურული ტიპის სტრუქტურული ერთეული; აქ დაცულია ქართული და უცხოური, ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემები, რომლებიც განკუთვნილია სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ეს ნაწილი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე მკითხველისათვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად.

ბიბლიოთეკაში არსებობს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ბეჭდური თუ ელექტრონული ლიტერატურა. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტებს აქვთ წვდომა ისეთ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე როგორებიცაა:

- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding(Funding Institutional)
- Taylor And Francis Online
- EBSCOHost Elit package:
    - Academic Search Elite
    - International Security & Counter Terrorism Reference Center
    - Business Source Elite
    - Regional Business News
    - ERIC
    - MasterFILE Elite
    - Library, Information Science & Technology Abstracts
    - AHFS Consumer Medication Information

ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

**მატერიალური რესურსები:**

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა სააკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობებით, როგორიცაა: VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენონაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. კავკასიის უნივერსტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის

ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური “მაგისტრი”, შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსები:**

საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა). არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კომპიუტერული ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე გაშვებულია რვა კომპიუტერული კლასი, რომლებიც პერსონალური კომპიუტერებით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 350 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board”, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD” - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 125-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco”-ს და ”Nortel”-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

# პროგრამის სასწავლო გეგმა

## (მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

| № | კოდი | წინაპირობა | სასწავლო კურსი/მოდული | სწავლების წელი | | | | | | | | ჯამური ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | ECTS კრედიტი | | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | |
| საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| | SPCH0007 | | აკადემიური წერა და მეტყველების კულტურა | 5 | | | | | | | | |
| | HIST 0003 | | საქართველოს ისტორია | 5 | | | | | | | | |
| | MATH 0001/[1] | | პრეკალკულუსი | 5 | | | | | | | | |
| | MATH 0003 | MATH 0001 | კალკულუს 1 | | 5 | | | | | | | |
| | MATH 0004 | MATH 0003 | კალკულუს 2 | | | 5 | | | | | | |
| | MATH 0002 | MATH 0004 | წრფივი ალგებრა | | | | 5 | | | | | |

[1] ის სტუდენტები, რომლებიც მათემატიკას არ აბარებენ ეროვნულ გამოცდებზე, მათთვის სავალდებულო იქნება პრეკალკულუსის აღება.

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | GENG 0001/ GENG 0003 | | B1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი /B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი | 2.5 | | | | | | | | |
| | GENG 0002/ GENG 0004 | GENG 0001/ GENG 0003 | B1 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი /B2 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი | | 2.5 | | | | | | | |
| | GENG 0003/ GENG 0005 | GENG 0002/ GENG 0004 | B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი /C1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი | | | 2.5 | | | | | | |
| | GENG 0004/ GENG 0006 | GENG 0003/ GENG 0005 | B2 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი /C1 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი | | | | 2.5 | | | | | |
| | FREN0001/ GERM0001/ TURK0001/ SPAN0001 | | ფრანგული ენა A1.0 /გერმანული ენა A1.0 /თურქული ენა A1.0 /ესპანური ენა A1.0 | 5 | | | | | | | | |
| | FREN0002/ GERM0002/ TURK0002/ SPAN0002 | FREN0001/ GERM0001/TURK0001/SPAN0001 | ფრანგული ენა A1/გერმანული ენა A1 /თურქული ენა A1 /ესპანური ენა A1 | | 5 | | | | | | | |
| | FREN0003/ GERM0003/ TURK0003/ SPAN0003 | FREN0002/ GERM0002/TURK0002/SPAN0002 | ფრანგული ენა A2.0 /გერმანული ენა A2.0 /თურქული ენა A2.0 /ესპანური ენა A2.0 | | | 5 | | | | | | |
| | FREN0004/ GERM0004/ TURK0004/ SPAN0004 | FREN0003/ GERM0003/TURK0003/SPAN0003 | ფრანგული ენა A2/გერმანული ენა A2/თურქული ენა A2ესპანური ენა A2 | | | | 5 | | | | | |
| | FREN0005/ GERM0005/ TURK0005/ SPAN0005 | FREN0004/ GERM0004/TURK0004/SPAN0004 | ფრანგული ენა B1.0 /გერმანული ენა B1.0 /თურქული ენა B1.0 /ესპანური ენა B1.0 | | | | | 5 | | | | |
| | FREN0006/ GERM0006/ TURK0006/ SPAN0006 | FREN0005/ GERM0005/TURK0005/SPAN0005 | ფრანგული ენა B1/გერმანული ენა B1 /თურქული ენა B1 /ესპანური ენა B1 | | | | | | 5 | | | |
| | INTE 1110 | | საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 | 2,5 | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | INTE 1210 | INTE 1110 | საინფორმაციო ტექნოლოგიები 2 | | 2,5 | | | | | | | |
| | INTE 2110 | INTE 1210 | საინფორმაციო ტექნოლოგიები 3 | | | 3,5 | | | | | | |
| | INTE 2210 | INTE 1210 | საინფორმაციო ტექნოლოგიები 4 | | | | 3,5 | | | | | |
| საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| | HIST 0001/GEOP 0008/SOCI 0004 | | მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია / მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია/სოციოლოგიის შესავალი | | 5 | | | | | | | |
| | POLS 0002/PSYC 0006//PHIL 0005 [2] | | პოლიტიკური მეცნიერების შესავალი / ფსიქოლოგიის შესავალი /ფილოსოფიის შესავალი | | | 5 | | | | | | |
| ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| | ECON 2110 | | მიკროეკონომიკის საფუძვლები | 5 | | | | | | | | |
| | ECON 2210 | | მაკროეკონომიკის საფუძვლები | | 5 | | | | | | | |
| | PENG 1100 | | P1 პროფესიული ინგლისური ენა | 2.5 | | | | | | | | |
| | PENG 1200 | PENG 1100 | P2 პროფესიული ინგლისური ენა | | 2.5 | | | | | | | |
| | PENG 2100 | PENG 1200 | P3 პროფესიული ინგლისური ენა | | | 2.5 | | | | | | |
| | PENG 2200 | PENG 2100 | P4 პროფესიული ინგლისური ენა | | | | 2.5 | | | | | |
| | ACCT 2110 | | ფინანსური აღრიცხვა | | | 5 | | | | | | |
| | ACCT 2210 | ACCT 2110 | მენეჯერული აღრიცხვა | | | | 5 | | | | | |

